თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №2

ქ.თელავი 17. 03. 2022 წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევან ბერძენაშვილი
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თინათინ ხანჯალიაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, მიხეილ დაღუნდარიძე, გიგი გიგიტელაშვილი, ბაადურ გულიაშვილი,იმედა კევლიშვილი, ანა ოთარაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მამუკა ბურდიაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ.შ. დავით ქსოვრელიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ქეთევან ილაშვილი, მოქალაქე სვეტა ნინიკელაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო დაიურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M 3 კატეგორია)

რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი

3. ქ.თელავში ქეთევან წამებულის N7 - ში მდებარე ბმა-ს თავმჯდომარის სვეტა ნინიკელაშვილის განცხადების განხილვა.
მომხს. ლ.ბერძენაშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი

აზრი გამოთქვეს: მომხსენებელმა ლ. ბერძენაშვილმა დებულების პროექტთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება, რომ საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, შესული ცვლილებების შესაბამისად, აუცილებელია ახალი კომისიის დებულების დამტკიცება და მოქმედი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება, რაზედაც წარმოადგინა მის მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტის პროექტი და განმარტებით ბარათი. საკითხის ირგვლივ კომისიის წევრებს შენიშვნები ან განცხადებები არ გაუკეთებიათ და დაეთანხმნენ სრულად წარმოდგენილ პროექტს. კომისიამ კენჭისყრის შედეგად საკითხი გადაწყვიტა შემდეგნაირად:

გადაწყვიტეს: წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას წარმოდგენილი პროექტი, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებშიეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრულ ავტობუსებით (M 3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი

აზრი გამოთქვეს: ბაადურ გულიაშვილმა აღნიშნა, რომ ჩასატარებელია კვლევა, რომლითაც აღირიცხება რამდენი ადამიანი მგზავრობს, რამდენი ადამიანი ისარგებლებს შეღავათებით და ამის შემდეგ იქნეს განხილული საკითხი. ასევე გიგი

გიგიტელაშვილმა აღნიშნა, რომ უმწეოთა და უპოვართა სასადილოს ბენეფიციარებისთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული შეღავათები. ლევან ბერძენაშვილის აზრით განმარტებით ბარათში არ არის დასაბუთება იმის თაობაზე თუ რა გათვლების საფუძველზე ხდება მარშრუტებზე ტარიფის, 50 თეთრის დადგენა, აგრეთვე როგორი სისტემით ან რა წესით განხორციელდება მგზავრობის თანხის ამოღება.კომისიის წევრების კითხვაზე დავით ქსოვრელიშვილმა სიტყვიერად განმარტა, რომ 50 თეთრიანი ტარიფის დადგენის შემთხვევაში მოხდება მხოლოდ გაწეული ხარჯების 17 % -ით შევსება.

აგრეთვე წარმოდგენილი პროექტის მუხლი 2-ის შესაბამისად, უფასო მგზავრობის უფლება ეძლევათ მხოლოდ თელავის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000 ქულას და 10 წლის ასაკამდე ბავშვებს. ვინაიდან შეღავათების გავრცელება ხდება მხოლოდ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრებ მოქალაქეთა მხოლოდ 2 კატეგორიაზე და გათვალისწინებული არ არის სხვა ჯგუფები, აგრეთვე არ ხდება შეღავათების დადგენა სხვა მოწყვლად ადამიანთა კატეგორიებზე (მაგალითად ომის ვეტერანები, შშმ პირები, 1989 წლის 9 აპრილის ცნობილი მოვლენების დროს დაზარალებული პირები, სათნოების სახლის ბენეფიციარები და ასე შემდეგ). ამიტომ ნორმატიულ აქტის პროექტი არის ხარვეზის მატარებელი (დისკრიმინაციული).

აგრეთვე განმარტა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ოფიციალურად უნდა მოხდეს ავტობუსების გაჩერებების და მგზავრთა მოსაცდელების მონიშვნა-რეგისტრაცია და ასახვა შესაბამის სამართლებრივ აქტში, რათა შესაბამისობაში იყოს „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N11 დადგენილებასთან. აღნიშნულთან დაკავშირებით მერიის მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოსადგენი იქნება სამართლებრივი აქტის პროექტი. აგრეთვე „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა ხორციელდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტების მიხედვით. აღნიშნულთან დაკავშირებით მერიის მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოსადგენი იქნება სამართლებრივი აქტის პროექტი მარშრუტების დადგენასთან დაკავშირებით.

აგრეთვე „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად (გთხოვთ იხელმძღვანელოთ 24-ე, 26-ე და 26^2 მუხლებით) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვას კონკურსის წესით გასცემს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო. აღნიშნულთან დაკავშირებით შესამუშავებელი და წარმოსადგენია მუნიციპალიტეტის საკრებულოში სამართლებრივი აქტის პროექტი (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსის ჩატარების, კონკურსში მონაწილეობისა და ასე შემდეგ წესი). აღნიშნული ნორმატიული აქტის არ მიღების შემთხვევაში დაირღვევა საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ" (მუხლი 5, 67-ე პუნქტი)

აგრეთვე „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" შესაბამისად მერიის მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოსადგენი იქნება სამართლებრივი აქტის პროექტი მგზავრთა გადაყვანის დროს (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის, საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შენახვის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას ადმინისტრაციული სახდელის დადების წესთან დაკავშირებით).

გადაწყვიტეს: წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად, მასზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მიზნით. აღნიშნულ პროექტზე გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით წარმოადგინოს მერიამ დამატებითი არგუმენტაცია. აგრეთვე თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სრულყოფილი რეგულაციის მიზნით,

რეკომენდაცია მიეცეს მერიას, რათა მიმდინარე წლის 10 აპრილამდე წარმოადგინონ საკრებულოში საკითხის განხილვისას განმარტებული სამართლებრივი აქტების პროექტები.

მოისმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტის ქეთევან წამებულის 7 - ისამხანაგობის თავმჯდომარის სვეტა ნინიკელაშვილის განცხადების განხილვა.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა იმსჯელეს ქ.თელავში, ქ.წამებულის ქუჩაზე მდებარე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ბმა ყადორი N7-ის თავმჯდომარის, სვეტლანა ნინიკელაშვილის განცხადებაზე, რომლის ძირითადი მოთხოვნაა, რომ "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის N37 დადგენილების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტში "შენობის სახურავის შეკეთების/ახლის მოწყობის შემთხვევაში (ბრტყელი და ქანობიანი გადახურვა) – 20 %;" შევიდეს ცვლილება და ნაცვლად 20%-ისა განისაზღვროს 10%-იანი თანადაფინანსებით. საკითხს არ დაეთანხმა, კომისიის წევრი იმედა კევლიშვილი, რომელმაც განმარტა, რომ ნორმატიულ აქტში არსებული თანადაფინანსების თანხა (მუნიციპალიტეტის მხრიდან 80%) ისედაც მაღალია და მის მომატებაზე მსჯელობა არამართლზომიერი იქნებოდა, რადგან კერძო სახლების მესაკუთრეები საერთოდ არ სარგებლობენ არანაირი შეღავათით. იგივე აზრი დააფიქსირეს კომისიის სხვა წევრებმა უარყოფით აზრი გამოთქვეს ამხანაგობის მხრიდან გადასახდელი თანხის თანადაფინანსების შემცირებაზე. სხდომაზე დამსწრე დავით ქსოვრელიშვილმა განმარტა, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტში ამხანაგობების თანადაფინანსების კუთხით სულ გამოყოფილია 250 000 (ლარი) და ნორმატიულ აქტში ამხანაგობის თანადაფინანსების 20%-ის 10%-მდე ცვლილება გამოიწვევს საბიუჯეტო ხარჯების გაზრდას, რისი დაფინანსების საშუალებაც ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტს არ შეუძლია. კომისიის წევრებმა კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტეს: უარი ეთქვას ს.ნინიკელაშვილს განცხადების დაკმაყოფილებაზე და არ დაიწყოს ადმინისტრაციული საქმის წარმოება ნორმატიულ აქტზე მასში ცვლილების შეტანის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერძენაშვილი